პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 122 (5672)

1976 წ. 23 ივნისი, ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ფედერაციის პლენუმზე

ისევ ძველი პრობლემები

საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ძალოსნობისა და ფარიკაობის დარბაზში გაიმართა ფარიკაობის რესპუბლიკური ფედერაციის საარჩევნო-საანგარიშო პლენუმი. წინასწარ უნდა ვთქვათ, რომ პლენუმზე, მიუხედავად წინასწარი გაფრთხილებისა, არ გამოცხადდნენ „განთიადის", „კოლმეურნის", „დინამოს" და „ლოკომოტივის" წარმომადგენლები. არადა, ამ სპორტსაზოგადოებებში მაინცდამაინც სახარბიელოდ ვერა დგას ფარიკაობის საქმე.

პლენუმი გახსნა საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტის გამოყენებითი სახეობების განყოფილების გამგემ გ. გოდერძიშვილმა. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ფარიკაობის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ნ. ასათიანი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკური სპორტკომიტეტის სასწავლო-მეთოდური განყოფილების უფროსმა დ. კაპცოვმა, თბილისის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სკოლის დირექტორმა შ. დარასელიამ, საქართველოს ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ტ. მესხმა, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებულმა მოღვაწემ ო. დიდებულიძემ, საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდის მწვრთნელმა ვ. ქორიაშვილმა, „მართვეს" რედაქტორმა ა. გოგელიამ და სხვ.

როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულებმა აღნიშნეს, რომ საანგარიშო პერიოდში ფედერაციამ გარკვეული მუშაობა გასწია ფარიკაობის დონის ასამაღლებლად. ეს პერიოდი იმითაა საინტერესო, რომ საქართველოს ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში და ამ დიდ ფორუმში რესპუბლიკის ნაკრების მიერ მოპოვებული საერთო გუნდური VI ადგილი ფედერაციამ დამაკმაყოფილებლად მიიჩნია. განსაკუთრებით კარგად იასპარეზეს ესპადრონისტებმა (IV გუნდური ადგილი) და ქალთა კოლექტივმა (V ადგილი). სამაგიეროდ, ფედერაციამ აღნიშნა წარუმატებლობა ჩვენი დაშნით მოფარიკავეებისა და რაპირისტებისა, რომლებმაც სპარტაკიადაში შესაბამისად VII და XI ადგილები დაიკავეს, მიუხედავად ზემოთქმულისა, ჩვენი რაპირისტი ვაჟების გუნდი არ შეიძლება უპერსპექტივოდ მივიჩნიოთ. მას სათავეში უდგანან ნიჭიერი ახალგაზრდები, სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრები გ. აბაშიძე და რ. გიორგაძე.

შედარებით ნაყოფიერად იმუშავა მწვრთნელთა და მსაჯთა კვალიფიკაციის ასამაღლებელმა რესპუბლიკურმა სემინარმა, რომელიც საანგარიშო პერიოდში დიდი ხნის „შესვენების" შემდეგ ორჯერ ჩატარდა.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის მუშაობაში მაინც შეიმჩნევა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები. მაგალითად, სისტემატურად არ ტარდებოდა ფედერაციის სხდომები; მწვრთნელთა საბჭო, მსაჯთა კოლეგია და სხვა კომისიები სათანადოდ არ მუშაობდნენ. ითქვა, რომ თბილისის საუცხოო საფარიკაო დარბაზი ტექნიკურად დღემდე არ არის სრულყოფილი და კეთილმოწყობილი.

კამათის მონაწილეებმა ისიც აღნიშნეს, რომ ყოველი ახალი ფედერაციის არჩევნებზე ერთსა და იმავე საკითხებზე თუ პრობლემებზეა ლაპარაკი. მათ სურვილი გამოთქვეს, რომ ამ არჩევნების შემდეგ მაინც დაიძრას საქმე მკვდარი წერტილიდან. ეს კი იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი ქართული ფარიკაობის ყველა მესვეური და სპეციალისტი ერთობლივი შრომითა და ზრუნვით წარმართავს საქმეს დღევანდელ მოთხოვნათა შესაბამისად.

პლენუმზე აღინიშნა, აგრეთვე, რომ ხშირად ვხვდებით მწვრთნელთა შორის არაჯანსაღი დამოკიდებულების ფაქტებს. დიდი ყურადღება მიექცა სპორტსმენთა შორის დისციპლინის განმტკიცების აუცილებლობის საკითხს.

კვლავ აღინიშნა ბაზების ინვენტარის, საფარიკაო კოსტიუმების ნაკლებობა, განსაკუთრებით — რაიონებში. მაგალითად, ქუთაისელი მოფარიკავეები ელემენტარულ სავარჯიშო პირობებსაც კი მოკლებული არიან, თუმცა რესპუბლიკის ნაკრებს შევსებას ძირითადად ისინი აძლევენ.

მდგომარეობის გამოსწორების მიზნით პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

აირჩიეს საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა: პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია საბჭოთა კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამმართველოს უფროსის მოადგილე გ. კიკალეიშვილი; თავმჯდომარის მოადგილედ — ნ. ასათიანი; პასუხისმგებელ მდივნად — საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი ფარიკაობაში მ. სახვაძე; მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარედ — ტ. მესხი; მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარედ — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი ფაკულტეტის დეკანი ა. მეიფარიანი; აგიტაცია-პროპაგანდის სექტორის გამგედ — ა. გოგელია.

გუშინ...

ერევნის „რაზდანის" სტადიონზე შედგა საკავშირო ჩემპიონატის მატჩი ადგილობრივი „არარატისა" და თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა შორის. შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 1:1. ბურთები გაიტანეს: ერევნელმა მინასიანმა (77-ე წუთზე) და თბილისელმა ჩელებაძემ (85).

გურიელი თუ კახაბრიშვილი?

ასე დგას ჩემპიონობის საკითხი საქართველოს ქალთა XXXIII ჩემპიონატის ფინალის დასკვნითი, XVII ტურის შემდეგ. ამჯერად ნ. გურიელმა მოუგო ლ. შელეგიას, ც. კახაბრიშვილმა — ხ. გურგენიძეს (რუსთავი). მათ 13-13 ქულით I-II ადგილები გაიყვეს. ოსტატ თ. ხუგაშვილს შეეძლო დასწეოდა მათ, მაგრამ დიდ წინააღმდეგობას წააწყდა ნ. მელაშვილთან შეხვედრაში. ხუგაშვილმა პაიკი მოიგო, მაგრამ მისი გამოყენება ვერ შეძლო და დამარცხდა კიდეც. ამიტომ იგი 12 ქულით III ადგილზე გავიდა.

საქართველოს ჩემპიონის სახელისთვის გურიელი და კახაბრიშვილი მატჩს ითამაშებენ.

დიდი ბრძოლა გაჩაღდა IV ადგილისთვის, რომელიც, ისევე როგორც პირველი სამი, ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში თამაშის უფლებას იძლეოდა. ნ. იოსელიანს ქულა დაეწერა ტურნირიდან საპატიო მიზეზით გასულ ნ. ჩხაიძესგან და 11 ქულა დაუგროვდა. ამდენივე ქულა ჰქონდა საერთაშორისო ოსტატ ა. ჩაიკოვსკაიას. მას ბოლო შეხვედრაში ყაიმიც ჰყოფნიდა ნახევარფინალის საგზურის მოსაპოვებლად, მაგრამ მის მეტოქეს ქ. მელაშვილს მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს. მოგების შემთხვევაში მასაც 11 ქულა დაუგროვდებოდა და კოეფიციენტთა ცხრილით უკეთესი მაჩვენებელიც ექნებოდა. ქეთევანი ენერგიულად ებრძოდა ჩაიკოვსკაიას და გაიმარჯვა, რითაც IV ადგილი და ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. ჩაიკოვსკაიამ და იოსელიანმა V-VI ადგილები გაიყვეს.

XVII ტურში ც. ქასოშვილმა (გორი) მოუგო მ. მამისთვალოვას, ნ. ხუბულურმა — რ. გეგიძეს, ც. კობაიძემ — მ. წერეთელს. ყაიმზე შეთანხმდნენ ქ. გეგიძე და ს. კალანდარიშვილი.

ტურნირი დამთავრდა. ზემოდასახელებული პირველი ექვსეულის მერე მოდიან: ც. კობაიძე — 9,5 ქულა, მ. წერეთელი — 9, ნ. ხუბულური — 8,5, რ. გეგიძე, ხ. გურგენიძე, ს. კალანდარიშვილი, ნ. მელაშვილი — 7-7, ქ. გეგიძე, ნ. ჩხაიძე, მ. მამისთვალოვა — 6,5-6,5, ც. ქასოშვილი — 6, ლ. შელეგია — 0,5.

თ. ნინოშვილი.

მჭიდრო წყობით

მანილაში მიმდინარე ფიდე-ს საზონათაშორისო ტურნირში 6 ტურის შემდეგ მოეწყო შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად.

ლ. ლიუბოევიჩმა (იუგოსლავია) სძლია ე. ტორეს (ფილიპინები), ლ. პოლუგაევსკიმ (სსრ კავშირი) — მ. კინტეროსს (არგენტინა). ბ. სპასკიმ (სსრ კავშირი) მოუგო ზ. რიბლის (უნგრეთი), მაგრამ წააგო ი. ბალაშოვთან (სსრ კავშირი). უ. ბრაუნმა (აშშ) 1,5 ქულა მოაგროვა ო. პანოსთან (არგენტინა) და ლ. კავალეკთან (აშშ) გადადებულ პარტიებში.

6 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ლ. პოლუგაევსკი, ე. მეკინგი (ბრაზილია), ვ. ულმანი (გდრ), ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), უ. ბრაუნი — 4,5-4,5, ლ. ლიუბოევიჩი, ვ. ცეშკოვსკი (სსრ კავშირი) — 4-4.

ძლიერი ფინიში

თბილისში, ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს მოჭადრაკე ვაჟთა XXVI ჩემპიონატი. ტურნირში მონაწილეობდა 16 მოჭადრაკე, მათ შორის 14 ოსტატობის კანდიდატი.

ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლა თავიდანვე დ. გედევანიშვილსა და გ. დავითაშვილს შორის გაჩაღდა. პირად შეხვედრაში დავითაშვილმა გაიმარჯვა, მაგრამ გედევანიშვილმა ფინიშზე ძლიერი თამაშით 12,5 ქულა მოაგროვა და I ადგილი დაიკავა. II ადგილზეა დავითაშვილი — 10. ორივე მოჭადრაკემ მოიპოვა „დინამოს" საკავშირო ჩემპიონატში (ივლისი, ლიეპაია) თამაშის უფლება.

III ადგილზეა ოსტატობის კანდიდატი გ. გამრეკელი — 9,5.

გ. ფამილიანტი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

თამაშის განახლებისას

დონის როსტოვი, 22 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ გრძელდება სსრ კავშირის ვაჟთა 44-ე ჩემპიონატის მასობრივი შესარჩევი ტურნირი. შეჯიბრების 64 მონაწილეს შორის შვიდი თბილისელია.

დილით, VII ტურიდან გადადებული პარტიების დამთავრებისას, ბ. გურგენიძემ მთლიანად ვერ გამოიყენა თავისი პოზიციის უპირატესობა და საერთაშორისო ოსტატ ე. სვეშნიკოვს (ჩელიაბინსკი) მზარდი წინააღმდეგობის შანსი მისცა. პარტია კვლავ გადაიდო. ქართველ დიდოსტატს ამჯერადაც უკეთესი პოზიცია აქვს.

ორსაათიანი თამაშის შემდეგ ისევ გადაიდო ე. ბუხმან (ლენინგრადი) — ზ. სტურუას პარტია. ჭაბუკ თბილისელ მოჭადრაკეს შეწყვეტილ პოზიციაში ყაიმის შანსი აქვს.

თ. გიორგაძემ შეუპოვარი დაცვით გააბათილა ოსტატ ვ. კუპრეიჩიკის პოზიციის უპირატესობა და ყაიმს მიაღწია. დაზავდნენ, აგრეთვე, ვ. მურატოვი (მოსკოვი) და ე. უბილავა.

საღამოს VIII ტური შედგა. გურგენიძისა და დიდოსტატ ვ. სავონის (ხარკოვი) შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ასეთივე შედეგით დასრულდა სტურუას და ოსტატ ა. კაპენგუტის (მინსკი) პარტია. დ. ჯანოევი დამარცხდა დიდოსტატ ა. სუეტინთან (მოსკოვი). სამი პარტია გადაიდო: გიორგაძეს უკეთესი პოზიცია აქვს სვეშნიკოვთან, უბილავას — მოსკოველ ოსტატ ა. მონაკოვთან, ხოლო ი. ჩიქოვანს — უარესი პოზიცია ლენინგრადის ჩემპიონთან, ოსტატ მ. ცეიტლინთან. ნ. ალექსანდრიამ წააგო ოსტატ ა. ხასინთან (ნოვოსიბირსკი).

8 ტურის შემდეგ დაწინაურდა ოსტატი ვ. კარასიოვი (ლენინგრადი) — 5,5 ქულა, მაგრამ გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ მას ბევრი მეტოქე გაასწრებს.

რეკორდები

ოსლო, 22 ივნისი. დედაქალაქის სტადიონ „ბისლეტის" სარბენ ბილიკზე ნორვეგიელმა მასწავლებელმა, 22 წლის გრეტა ვაიტც-ანდერსენმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა 3000-მეტრიან მანძილზე — 8.45,4.

ძველი მიღწევა, რომელიც მასვე ეკუთვნოდა, გაუმჯობესებულია 1,2 წამით.

ლონგ-ბიჩი, 22 ივნისი. ამერიკის შეერთებული შტატების მოცურავეთა წინაოლიმპიურ შესარჩევ შეჯიბრებაში კიდევ ორი მსოფლიო რეკორდი დამყარდა და ორივე თავისუფალი სტილით ცურვაში. 17 წლის ბრაიან გუდელმა 1500 მეტრზე 15.06,66 აჩვენა (ეს შედეგი 4,23 წამით სჯობს ავსტრალიელი სტივენ ჰოლანდის მიერ ამ ოთხი თვის წინათ დამყარებულ მიღწევას), ხოლო შირლი ბაბაშოფმა 800 მეტრზე — 8.39,63 (მან 1,05 წამით გააუმჯობესა გდრ-ის წარმომადგენელ პეტრა ტიუმერის მიერ რამდენიმე დღის წინათ დამყარებული მსოფლიო რეკორდი).

დღეს გაზეთი ხელმოსაწერად მზად იყო... 19^{45}

◆ ლონდონი, 22 ივნისი. თბილისელმა ჩოგბურთელებმა ალექსანდრე მეტრეველმა და თეიმურაზ კაკულიამ გუშინ მოიგეს უიმბლდონის ტურნირის პირველი წრის მატჩები. მეტრეველის გამარჯვება შედარებით იოლად ხვდა: პირველი ხელი მან ჯინ მაიერს (აშშ) მოუგო — 6:2, მეორე პარტიაში კი, როცა ანგარიში იყო 5:0 თბილისელი სპორტსმენის სასარგებლოდ, ამერიკელმა უარი თქვა ბრძოლის გაგრძელებაზე. ჯინი უმცროსი ძმაა ცნობილი ჩოგბურთელის სენდი მაიერისა, რომელიც ამ ზამთარს მოსკოვში იყო. პირველ წრეში სენდიმაც წააგო — ტ. ოკერთან (ჰოლანდია) დამარცხდა. კაკულიას გამარჯვება პირველი წრის სიურპრიზებს მიაკუთვნეს: მან მოუგო უნგრელ ბალაშ ტაროცის — 6:1, 9:8, 6:2. ტაროციმ ამ რამდენიმე დღის წინათ საფრანგეთის ღია ჩემპიონატში მსოფლიოს რამდენიმე მოწინავე ჩოგბურთელს სძლია. მოსკოველმა ვადიმ ბორისოვმა წააგო იაპონელ კენ ჰირაისთან — 3:6, 4:6, 0:6. დღეს იწყება ქალთა შეხვედრებიც.

◆ ლოძი, 22 ივნისი. თავისუფალ ჭიდაობაში აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში საქართველოს გუნდის ათი მონაწილიდან ორმა საპრიზო ადგილები დაიკავა. მძიმე წონაში საუკეთესო იყო ნ. მოდებაძე, რომელმაც მსოფლიო პირველობის ბრინჯაოს პრიზიორ ჰ. ბიქელჰაუპტს (გფრ) აჯობა. თბილისელმა ტ. ალიბეგაშვილმა II ადგილი დაიკავა მჩატე წონაში, წინ მხოლოდ პოლონელი ვ. სტეცკი გაუშვა. ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია პირველი საშუალო წონის ათლეტთა — მსოფლიო ჩემპიონ ა. ზეგერისა (გფრ) და მსოფლიო და ევროპის პირველობათა პრიზიორ ვ. იორგას (რუმინეთი) შეხვედრამ. გაიმარჯვა იორგამ, ზეგერი კი II ადგილზე გავიდა. ტურნირში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, ბულგარეთის, გდრ-ის, ირანის, უნგრეთის, შვეციისა და სხვა ქვეყნების მოჭიდავეები.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში მიმდინარეობს სახელმწიფო გამოცდები. ცოტაც და ამ ინსტიტუტის კურსდამთავრებული ქალები და ვაჟები საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში შეუდგებიან ფიზკულტურის მასწავლებლის, მწვრთნელის თუ მეთოდისტის მოვალეობის შესრულებას.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ სპორტული ფაკულტეტის სტუდენტს, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრს, სპორტის ოსტატს, ძიუდოისტ აბესალომ წიკლაურს, რომელიც სახელმწიფო საგამოცდო კომისიას (მარცხნიდან — ი. ალიხანოვი, ა. მელია (რექტორი), ლ. ცაგარელი (კომისიის თავმჯდომარე), გ. ნადირაშვილი (დეკანი), მ. ჩაჩანაშვილი) გამოცდას აბარებს სპეციალობაში.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ვარძელაშვილი 60 წლისა

შრომა — სიცოცხლის წყარო და სულიერი საზრდო

მას შეუძლია თქვას, რომ ძნელი, მაგრამ საინტერესო ცხოვრების გზა განვლო. მშრომელი ოჯახის ბიოგრაფია არასდროს არის ია-ვარდით მოფენილი, თუმცა ია-ვარდისთვის იგი არც იბრძვის ხოლმე. შრომა ასეთ ოჯახში სიცოცხლის წყაროა, მისი ყოველი წევრის სულიერი საზრდო.

გიორგი ვარძელაშვილის ოჯახი თავიდანვე რკინიგზელის ოჯახის ტიპური ცხოვრებით ცხოვრობდა. აქ ყველაფერი განაწილებული იყო მკაცრად და ზომიერად. ოჯახის ყველა წევრს, დიდს თუ პატარას, თავისი ადგილი და როლი ჰქონდა განკუთვნილი შრომის ყოველდღიურობაში. ეს რიტმი არ დარღვეულა მას შემდეგაც, რაც ოჯახის უფროსი გარდაიცვალა და ხელმძღვანელობა მარტო დარჩენილმა დედამ ითავა.

გიორგი გორის საშუალო სკოლაში სწავლობდა და, როგორც ყველა ქართლელი ბიჭუნა, თავიდანვე ჭიდაობამ გაიტაცა. მაგრამ ეს იყო ჭაბუკური სურვილი და ენთუზიაზმი, ჯერ კიდევ გაუაზრებელი ლტოლვა თანატოლებთან ბრძოლისა და, ცხადია, გამარჯვებისა. ამ გატაცებამ უფრო სრულყოფილი და ჩამოყალიბებული სახე მიიღო, როცა გიორგი გორიდან თბილისში ჩამოვიდა ფიზკულტურის ტექნიკუმში სასწავლებლად.

აი, სწორედ ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი ახალგაზრდა გიორგისთვის ყველაზე თბილ ურთიერთობას და სასარგებლო ნაცნობობას გამოცდილ პედაგოგთან და მწვრთნელთან მიხეილ თიკანაძესთან. ეს ნაცნობობა, მოწაფისა და მასწავლებლის მეგობრობა თანდათან გადაიქცა ურთიერთობად, რომელმაც საბოლოოდ ჩამოაყალიბა გიორგი ვარძელაშვილის სულიერი ცხოვრება, მისი პიროვნება და შემდგომი მისწრაფებები.

მიხეილ თიკანაძეს ახალგაზრდებში ნიჭის ამოცნობის საოცარი უნარი ჰქონდა და ფიზკულტურის ინსტიტუტში გადასვლისთანავე გიორგის ურჩია:

— დაამთავრებ ტექნიკუმს და ინსტიტუტში გადმოხვალ სასწავლებლად.

ახალგაზრდამ უსიტყვოდ შეასრულა თავისი დამრიგებლის რჩევა. და აი, გიორგი ვარძელაშვილი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი, გულმოდგინედ ეუფლება საჭიდაო ხელოვნების საიდუმლოებას დაკვირვებული და გამოცდილი მწვრთნელის ხელმძღვანელობით. სტუდენტის სიბეჯითემ და შრომისმოყვარეობამ მალე გამოიღო ნაყოფი. ჯერ კიდევ ტექნიკუმში სწავლის დროს იგი რამდენიმეჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში, 1938 წელს კი საკავშირო ნაკრებში შეიყვანეს. ინსტიტუტის კედლებში მისი სპორტული ოსტატობა უფრო ჩამოყალიბდა და დაიხვეწა. გიორგი მორალურად და ფიზიკურად უკვე მზად იყო ჭიდაობის ოსტატობის მწვერვალებთან შესაჭიდებლად, მაგრამ დიდმა სამამულო ომმა მისი ცხოვრება სულ სხვა გზით წარმართა.

მხოლოდ ომის შემდეგ დაუბრუნდა თავის საყვარელ საქმეს — სპორტს. იგი წარმატებით გამოდის რესპუბლიკურ, ამიერკავკასიის პირველობებში, პროფკავშირებისა და სხვა საკავშირო ჩემპიონატებში. ხან კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დგას, ხან პრიზიორია, მაგრამ მიღწეულით არასდროს კმაყოფილდება.

ესეც, ალბათ მ. თიკანაძესთან ურთიერთობის მადლია, რომ გიორგი ვარძელაშვილს ადრე აღეძრა პედაგოგიური მოღვაწეობის სურვილი და ჭიდაობის პარალელურად აქტიურად ზრუნავდა ახალგაზრდა თაობის აღსაზრდელად. აქაც, ამ სფეროშიც, მან დიდი ნიჭი და ბუნებრივი ალღო გამოიჩინა.

როცა გ. ვარძელაშვილის მოწაფეებზეა ლაპარაკი, მუდამ სიამოვნებით ვიხსენებთ საქართველოს მოჭიდავეთა დიდ და სასახელო ტრადიციებს, ვინაიდან ამ ტრადიციების შექმნის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ისიცაა. ვიხსენებთ წარსულში შესანიშნავ ათლეტებს გოდერძი ჩიტიაშვილსა და გივი კარტოზიას, მერაბ ღუდუშაურსა და გელა ჭელიძეს, ელგუჯა ღუდუშაურსა და კიდევ ბევრ სხვას, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა.

მაგრამ განა ეს ხუთი გვარიც არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ვთქვათ: ამ კაცმა პირნათლად მოიხადა ვალი თავისი ერის, თავისი საყვარელი საქმის წინაშეო? სწორედ ამიტომ მიენიჭა გ. ვარძელაშვილს 1957 წელს სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება. გიორგის სპორტული და პედაგოგიური მოღვაწეობა კიდევ სხვა მრავალი ჯილდოთია დაფასებული. მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო შრომისმოყვარე, თავმდაბალი და გულმართალი კაცისთვის მის მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზაა, სიხარული, რომლითაც იგი ცხოვრობს ექვსი ათეული წლის მანძილზე და შრომა, რომლის სადიდებლადაც თავს არ ზოგავს ოთხ ათეულ წელიწადს.

ნ. ბუზუშვილი.

სპარტაკიადიდან სპარტაკიადამდე

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ერთ-ერთი სხდომა, სპორტის ეროვნულ სახეობებში სოფლის ახალგაზრდობის 1975 წლის IV რესპუბლიკური სპარტაკიადის შედეგებსა და 1976 წელს V სპარტაკიადის ჩატარების საკითხს მიეძღვნა.

შარშან საქართველოს რაიონებსა და ოლქებში ჩატარდა სოფლის ახალგაზრდობის რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშიც შედიოდა ეროვნული სახეობები: ქართული ჭიდაობა, ლელობურთი, მშვილდოსნობა, ცხენოსნობა (ცხენბურთი, ისინდი, მარულა) და ძალოსანთა კონკურსი.

სპარტაკიადაში ჩაება აფხაზეთის და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ზუგდიდის, სამტრედიის, თელავის, ცხაკაიას, მახარაძის, აბაშის, ხაშურის, ჩოხატაურის, წულუკიძის, გეგეჭკორისა და სხვა რაიონების 85 ათასამდე სპორტსმენი, ხოლო ფინალურ ეტაპზე 797 ახალგაზრდა გამოვიდა სარბიელზე.

კომკავშირის რაიონულმა კომიტეტმა, „კოლმეურნის" საოლქო და რაიონულმა საბჭოებმა სოფლის მეურნეობის სამმართველოებთან და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს ეროვნულ სახეობებში ადგილობრივი სპარტაკიადების მაღალ დონეზე ჩატარებისა და რესპუბლიკურ სპარტაკიადაში სოფლის ახალგაზრდობის წარმატებით მონაწილეობისთვის.

სპარტაკიადის კომპლექსურ ჩათვლაში ოლქებს შორის საერთო გუნდური I ადგილი მოიპოვა აფხაზეთის ნაკრებმა. II ადგილი დაიკავეს აჭარის, III — სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებმა.

რაიონებს შორის საუკეთესო იყო ზუგდიდელთა კოლექტივი. შემდეგ ორ ადგილზე არიან სამტრედიისა და თელავის გუნდები.

ბევრი რაიონის სპორტსმენებს რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ასპარეზობას თავი აარიდეს „კოლმეურნის" ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ვანის, დმანისის, ყაზბეგის, ლანჩხუთის, მაიაკოვსკის, მცხეთის, ონის, სიღნაღის, თერჯოლის, თიანეთის, წალკის, ცაგერის რაიონულმა, ჭიათურის საქალაქო საბჭოებმა. სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ხუთი სახეობიდან ერთში მიიღეს მონაწილეობა კასპის, ქარელის, ლაგოდეხის, ყვარლის, მესტიის, საგარეჯოს, ამბროლაურის, ზესტაფონის, წალენჯიხის, ბორჯომის, გორის, საჩხერის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, წყალტუბოს, მარნეულისა და ტყიბულის რაიონული საბჭოების წარმომადგენლებმა.

როგორც ჩანს ზემოაღნიშნული რაიონების კომკავშირის კომიტეტები და „კოლმეურნის" ადგილობრივი საბჭოები თავს არ იწუხებენ სპორტის ეროვნული სახეობების განვითარებისთვის, სათანადოდ ვერ აფასებენ სოფლის სპორტსმენთა რესპუბლიკური სპარტაკიადის მნიშვნელობას, საერთოდ არ ზრუნავენ ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში სოფლის ახალგაზრდობის ჩაბმისთვის, არ ატარებენ სოფლის მშრომელთა შორის სპორტულ ღონისძიებებს, არ მონაწილეობენ საზოგადოების რესპუბლიკურ შეჯიბრებებში, სუსტია „კოლმეურნის" რაიონული საბჭოების კავშირი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებთან, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა მდგომარეობის გამოსწორების მიზნით მიიღეს დადგენილება.

შემდეგ „კოლმეურნის" პრეზიდიუმმა იმსჯელა ეროვნულ სახეობებში სოფლის ახალგაზრდობის V რესპუბლიკური სპარტაკიადის ამოცანებზე, სპარტაკიადის ხელმძღვანელობის ეტაპების, ფინალური შეჯიბრებებისა და სხვა საკითხებზე.

დარღვევებს ბოლო უნდა მოეღოს

ჭიათურაში ამას წინათ მოეწყო ნორჩ ფეხბურთელთა რესპუბლიკური გათამაშების ზონალური პირველობა „ტყავის ბურთის" პრიზზე.

I ადგილი აქ დაიკავეს ზესტაფონელმა ფეხბურთელებმა, მაგრამ მათი საბუთების გასინჯვისას აღმოჩნდა, რომ გუნდს უკანონო გზით მოუპოვებია წარმატება. კერძოდ, გუნდის ხელმძღვანელობას განაცხადში შეუყვანია ისეთი მოთამაშეები, რომლებსაც დებულების თანახმად არ ჰქონდათ ამის უფლება.

რამდენჯერ თქმულა და დაწერილა, რომ მოზარდ და ნორჩ ფეხბურთელთა შეჯიბრებებში ხდება ყალბისმქნელობის შემთხვევები, მინდორზე გამოჰყავთ ის მოთამაშენი, რომლებსაც ეს წესით არ ერგებათ. ამიტომ ნორჩ ზესტაფონელ ფეხბურთელთა ხელმძღვანელობას საკადრისი სასჯელი უნდა დაედოს.

საჭირო შეიქნა ფინალური მატჩის გადათამაშება საჩხერისა და მაიაკოვსკის გუნდებს შორის. ანგარიშით 4:1 გაიმარჯვეს საჩხერელებმა (მწვრთნელი ა. ზაბახიძე), რომლებმაც მოიპოვეს რესპუბლიკურ ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება.

გ. ბარჯაძე,
სპორტის ოსტატი.
(ჩვენი კორ.).

ჭიათურა.

ფიზკულტურის კოლექტივებში

ტიბაანი სპორტშიც სამარკო უნდა იყოს

ამას წინათ სიღნაღს ვეწვიეთ, რომელიმე საკოლმეურნეო ფიზკულტურული კოლექტივის საქმიანობის გაცნობა გვსურდა. არჩევანი ტიბაანზე შეჩერდა. ქართული სამარკო ღვინო, რომელიც ამ სოფლის სახელს ატარებს, საქვეყნოდაა განთქმული. გვაინტერესებდა, შრომაში მარჯვე ტიბაანელები ფიზკულტურასა და სპორტთან როგორღა მეგობრობენ.

სოფელში შესვლისთანავე ერთი ახალგაზრდა შემოგვხვდა.

— მერაბ, შენი სტუმრები ვართ! — უთხრა მას „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარემ ოთარ ბეგაშვილმა და გამაცნო: კოლმეურნეობის ფიზკულტურის მეთოდისტი, ფიზკულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი მერაბ ბეჟაშვილი.

— ცუდ დროს მოსულხართ, ნაგვიანევმა გაზაფხულმა ყველას მომზრალ ზვრებში უხმო. კონტორაში ვერავის ნახავთ, თავმჯდომარე ჯემალ ხატიაშვილიც ვენახშია, პარტორგი იმბურგ ხაჩიშვილიც, — გვითხრა მერაბმა სალმის შემდეგ.

კონტორაში მართლაც არავინ დაგვხვდა. მეთოდისტს ჩვენი სტუმრობის მიზანი გავაცანით და ვთხოვეთ სპორტული ბაზების დასათვალიერებლად გაგვყოლოდა. გზად სოფლის დოვლათზე, კოლმეურნეობის ცხოვრებაზე გავაბით საუბარი.

სოფელი დიდია. მარტო კოლმეურნეობაში შვიდასამდე კაცი და ქალი შრომობს. მეურნეობა მრავალდარგოვანი ჰქონიათ. მთავარი, რა თქმა უნდა, მევენახეობაა, მაგრამ მემინდვრეობასაც მისდევენ, მებოსტნეობასაც, მსხვილფეხა საქონელიც საკმაოდ ჰყოლიათ, ღორიცა და ცხვარიც. კოლმეურნეობის წლიური ფულადი შემოსავალი შარშანწინ მილიონ მანეთზე მეტი ყოფილა, შარშან კი სამი მილიონისთვის მიუღწევია.

ტიბაანი კარგი სოფელია, დიდი, ლამაზი, კოხტა სახლებით.

— სოფელს მალე კოლმეურნეობის კონტორის ახალი შენობაც დაამშვენებს. კონტორაში კლუბი და დარბაზებიც იქნება და სპორტული მუშაობაც უფრო გაჩაღდება, — ენაწყლიანობს მერაბი. — ტიბაანში ფიზკულტურა ყველას უყვარს — დიდსა და პატარას, თავი და თავია ფეხბურთი და ჭიდაობა. ჩვენი ახალი თავმჯდომარე ჭიდაობის ნამდვილი ტრფიალია. ამიტომაც იყო, რომ მეთოდისტის შტატი გაჰყო და პირველთანრიგოსანი „კლასიკოსი" ზედელაშვილი საკოლმეურნეო სექციას ჩაუყენა სათავეში, ინვენტარიც უყიდა სექციას, ლეიბებიც. მოჭიდავეები საკოლმეურნეო კლუბის სცენაზე ვარჯიშობენ...

ამასობაში ღია სპორტულ ბაზებსაც მივადექით. შეხედვა არ გვესიამოვნა. ჯერ კიდევ სამიოდე წლის წინათ, როცა კოლმეურნეობას ლევან დოლმაზაშვილი უძღვებოდა, ამ სოფლის ფეხბურთელთა გუნდი საქართველოს ზონალურ პირველობაშიც გამოდიოდა, სტადიონიც კარგი ჰქონდათ და გასახდელებიც. ახლა ფეხბურთის მინდორს უწინდელი პეწი დაუკარგავს, მაყურებელთა მერხები საღლაც გამქრალა, გასახდელის კარ-ფანჯრები ჩარჩოებიანად ვიღაცას წაუღია. ეს სტადიონი სკოლასაც ემსახურება (აქვეა საშუალო სკოლის კეთილმოწყობილი შენობა დარბაზით), მაგრამ არც მოსწავლეთათვის განკუთვნილი ბაზებია ხეირიანი — ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები მოსავლელია, სახტომი ორმო და ტანვარჯიშული ბაქანი — მოსაწყობი.

კოლმეურნეობისა და სკოლის კომკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებს რომ მოენდომებინათ, ერთ-ორჯერ შაბათობა მოეწყოთ, ეს მოედნები სოფლის კვალობაზე კარგ ბაზებად გადაიქცეოდა.

კონტორისკენ გამოვბრუნდით. კლუბში შევიარეთ, რომელიც, სადაც სამართალია, თავლას უფრო ჰგავდა. სცენაზე, სადაც ყოველი მხრიდან ქარი უბერავდა, საჭიდაო ხალიჩა მართლაც იყო გაშლილი.

— სოფელში კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობის სიყვარულს სპორტის ოსტატმა იოსებ გაგაძემ ჩაუყარა საფუძველი. იგი აქ ჩემამდე მუშაობდა მეთოდისტად, — ამბობს მერაბი.

— მაგრამ ტიბაანში ფრენბურთში, კალათბურთსა და ფეხბურთშიც კარგი გუნდები ჰყავთ, მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაშიც არვის დაუდებენ ტოლს, მძლეოსნობასაც მისდევენ, — საუბარში ჩაერია ბეგაშვილი. — რაიონულ პირველობებში მუდამ მონაწილეობენ. სოფლის მეურნეობის მუშაკი მუდამ დატვირთულია, თუ საქმეს ოდნავ ყურადღება დააკლდა, მოსავალი დაღუპულია, ტიბაანელები კი მაინც ახერხებენ სპორტთან მეგობრობას.

როგორც გვითხრეს, გამგეობას კოლმეურნეთა შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესებისთვის შარშან 350 მანეთი გამოუყვია (ეს ცოტაა), ხოლო პროფკავშირს — 200. სექციებს აქტივისტები ჩასდგომიან სათავეში. ფრენბურთელებს საკვებმომპოვებელი ბრიგადის წევრი გ. ლათიბაშვილი ავარჯიშებს, კალათბურთელებს — შოფერი ჯ. გურაშვილი, ფეხბურთელებს — სამშენებლო უბნის ბრიგადირი თ. ბიკაშვილი. სწორედ ამ სოფლის გუნდშია აღზრდილი სიღნაღის ფეხბურთელთა ნაკრების მეკარე ჯ. გურაშვილი.

მაგრამ ტიბაანში ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობა სათანადო დონეზე მაინც არ დგას. საამისოდ ყველა შესაძლებლობა როდია გამოყენებული. ფიზკულტურის მეთოდისტს სამუშაო ოთახიც კი არა აქვს, კომკავშირის კომიტეტის მდივნის გ. ჩითინაშვილის კაბინეტშია შეკედლებული.

— ცოტაც გვადროვონ, კონტორის ახალი შენობა მალე დამთავრდება და მეთოდისტს, ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს საკუთარი კუთხე ექნებათ, — გვითხრა საკოლმეურნეო პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ა. იორამაშვილმა.

— „კოლმეურნის" რაისაბჭო თუ გეხმარებათ? — ვკითხეთ თავმჯდომარეს.

— ოთარ ბეგაშვილს ვერ დავემდურებით, ხშირი სტუმარია კოლექტივებისა, გვამოწმებს, გვასწავლის, გვეხმარება, მაგრამ ჩვენს საქმეს ხომ ვერ გააკეთებს?

როგორც თავადაც დავრწმუნდით, ოთარ ბეგაშვილი მართლაც ხშირი სტუმარი ყოფილა ტიბაანშიც და სხვა სოფლებშიც. გამოირკვა, რომ თვით კოლმეურნეობების გამგეობები ბეგაშვილს სათანადოდ ვერ ეხმარებიან — იურიდიული საწევრო გადასახადი დროულად არ შეაქვთ ან სრულებით არ იხდიან. ამ მხრივ არც ტიბაანელებს აქვთ საქმე სანაქებოდ. მართალია, შარშანდელი დავალება პირნათლად შეუსრულებიათ, მაგრამ 1973 და 1974 წლების იურიდიული საწევრო დავალიანება 4513 მანეთს შეადგენს. ამას წლევანდელ 3180 მანეთსაც თუ დავუმატებთ, ტიბაანის კოლმეურნეობამ, საერთო წესის თანახმად, სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" სასარგებლოდ 7693 მანეთი უნდა გადაიხადოს. ეს თანხა იხევ სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის გაუმჯობესებას, რესპუბლიკის სოფლის სპორტსმენთა დაოსტატებას უნდა მოხმარდეს.

სიღნაღის რაიონში ფიზკულტურულ და სპორტულ ცხოვრებაში ერთგვარი გამოცოცხლება იგრძნობა. იმედია, ეს ახალი სიო ტიბაანსაც მისწვდება და ამ სოფლის ახალგაზრდებს სპორტული დაოსტატების მეტი საშუალება მიეცემათ, მეტ ყურადღებას მიაქცევენ საშუალო და უფროსი ასაკის მშრომელთა ჯანმრთელობის გაკაჟებასაც, რათა შემდეგ მეტი ძალით იბრძოლონ X ხუთწლედის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისთვის, უხვი მოსავლის მოყვანისთვის.

ო. ბელაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
სოფ. ტიბაანი,
სიღნაღის რაიონი.

ავლანელები ოჩამჩირეში

19 ივნისს ოჩამჩირეში გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი: ადგილობრივი „ამირანის" სტუმარი იყო ავლანეთის ნაკრები გუნდი.

თამაში მიმდინარეობდა ავლანელთა საგრძნობი უპირატესობით, რომლებსაც რამდენიმეჯერ შეეძლოთ მიეღწიათ წარმატებისთვის, მაგრამ საუკეთესოდ ითამაშა ოჩამჩირელთა მეკარე ძაგანიამ.

მეორე ტაიმში ძაგანია დაშავდა და მე-60 წუთზე სტუმრებს საშუალება მიეცათ გაეტანათ ბურთი. გოლი გაიტანა გუნდის კაპიტანმა ზამონმა.

დარჩენილ დროში ორივე მხარეს მიეცა ანგარიშის შეცვლის შესაძლებლობა, ხელსაყრელი მომენტები კი გამოუყენებელი დარჩა.

ოჩამჩირეში ავლანელ სპორტსმენებს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს, მატჩის დაწყების წინ მათ გადასცეს ყვავილები და სუვენირები.

ე. სარალიძე,
რესპუბლიკური სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს ინსტრუქტორი.

ფეხბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

ევროპის ჩემპიონატი

დიდი ფეხბურთის დიდი გამოხმაურება

გფრ-ის ნაკრები გუნდის სახელგანთქმულ წევრს ული ჰიონესს იმ საბედისწერო მომენტში თავის თავზე უბედური კაცი მთელს სამყაროში არ ეგულებოდა: ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელებთან ფინალურ მატჩში, როცა ჯერი პენალტების სერიაზე მიდგა, მან „თავისი" ბურთი მეტოქის კარს ააცდინა! ამ მომენტისთვის პენალტების ანგარიში იყო 4:3 ჩეხოსლოვაკიის ნაკრების სასარგებლოდ და იგი ჰიონესის დარტყმის შემდეგაც უცვლელი დარჩა. სამაგიეროდ, ანტონინ პანენკამ მეხუთე პენალტი გაიტანა, რომელმაც მის გუნდს ევროპის ჩემპიონის წოდება მოუხვეჭა.

— მე მხოლოდ დარტყმის სიძლიერეზე გავამახვილე ყურადღება და ეს ჩემი შეცდომა იყო, — თქვა ამ ტრაგიკული მომენტის შემდეგ სასოწარკვეთილმა ჰიონესმა და ლამის იტირა. უნდა ითქვას, რომ მის არც ერთ თანაგუნდელს, არც ერთ მწვრთნელს წარბიც არ შეუხრია და იოტისოდენა საყვედური არ უთქვამს ხელმოცარული ფეხბურთელისთვის. პირიქით, ისინი გულწრფელად ამშვიდებდნენ ჰიონესს, ჰელმუტ შიონი — გფრ-ის ნაკრების ეს ბრძენი ხელმძღვანელი — თავზე უსვამდა ხელს დამწუხრებულ მოთამაშეს და ამშვიდებდა — ისეთი არაფერი მომხდარაო.

20 ივნისს ბელგრადის „ცრვენა ზვეზდის" სტადიონზე გამართულმა გადამწყვეტმა მატჩმა მთელს სპორტულ სამყაროში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ფინალის მონაწილენი იყვნენ საქვეყნოდ ცნობილი გუნდები: ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები (მისი კაპიტნისთვის ფრანც ბეკენბაუერისთვის ეს იყო მე-100 მატჩი ნაკრების შემადგენლობაში. ამრიგად, იგი მეათე ფეხბურთელი გახდა მსოფლიო ისტორიაში, რომელსაც ამდენჯერ უთამაშია ეროვნულ ნაკრებში) და ჩეხოსლოვაკიის გუნდი, რომელმაც წინაოლიმპიური და ამხანაგური მატჩების ჩათვლით ზედიზედ 23 შეხვედრა ჩაატარა წაუგებლად.

ამრიგად, ფინალური შეხვედრის ბედი პენალტების სერიამ გადაწყვიტა, გუნდები უეფა-ს წინადადებას დაყაბულდნენ და 22 ივნისისთვის აღარ „გადადეს" ეს თამაში.

— ამ ერთი კვირის წინათ ჩვენ სპეციალურად ვვარჯიშობდით პენალტების დარტყმაში და, როგორც ჩანს, ამან თავისი ნაყოფი გამოიღო, — თქვა გუნდის მწვრთნელმა ვაცლავ ჯეჟეკმა მას შემდეგ, რაც ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელებმა ხუთივე 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გოლები გაიტანეს. სხვათა შორის, ჯეჟეკი ერთადერთი იყო ჩემპიონატის ფინალური ნაწილის მონაწილე ნაკრები კოლექტივების მწვრთნელთაგან, ვინც ჟურნალისტებთან ინტერვიუში თავისი გუნდი IV ადგილზე დააყენა.

— ჩვენ ყველა აუტსაიდერად გვთვლიდა, თავიანთი თავი კი ფავორიტებად მიაჩნდათ. ამაზე კარგ სამსახურს ვერავინ გაგვიწევდა, — ღიმილით თქვა ჯეჟეკმა.

საინტერესოა ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელის გეორგ კნობელის განცხადებაც:

— ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელები გამარჯვებისკენ საოცარი ლტოლვის, უაღრესად ამაღლებული განწყობილების წყალობით იმარჯვებენ, რასაც ჩინებულად მოწესრიგებული ურთიერთდაზღვევა ემატება. ისინი მეტოქეს სულ უმნიშვნელო შეცდომასაც არ აპატიებენ.

საინტერესოა შემდეგი ფაქტიც: იუგოსლავიაში გამართული ფინალური სტადიის ოთხივე მატჩის ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა — „დაწესებული" 360 წუთის ნაცვლად 480 წუთს გაგრძელდა (ამაში არ შედის პენალტების სერიაზე დახარჯული დრო). გატანილია 19 ბურთი (თითქმის 5 ყოველ თამაშში). ყოველივე ეს ლაპარაკობს მეტოქეთა თანაბარ სიძლიერეზე, უშეღავათო და მწვავე ბრძოლაზე. გაგახსენებთ ფინალური ეტაპის მონაწილე გუნდების მიერ დაკავებულ ადგილებს: I. ჩეხოსლოვაკია, II. გფრ, III. ჰოლანდია, IV. იუგოსლავია.

ახლა წარმოგიდგენთ ევროპის ჩემპიონებს. ჩეხოსლოვაკიის ნაკრების კარს იცავს 34 წლის ივო ვიქტორი („დუკლა", პრაღა). იგი რამდენიმე წელია ფეხბურთთან განშორებას აპირებს, მაგრამ ჯეჟეკმა დაითანხმა დარჩენილიყო.

დაცვაში ოთხი მოთამაშეა ბრატისლავის „სლოვანიდან": იან პივარნიკი, იოზეფ ჩაპკოვიჩი, ანტონ ონდრუში (კაპიტანი) და კოლომან გიოგი. ესენი არიან გამოცდილი ფეხბურთელები (26-დან 29 წლამდე), რომლებიც საიმედოდ თამაშობენ დაცვაში და შეტევაც ეხერხებათ (მაგალითად, ონდრუშმა ანგარიში გახსნა ჰოლანდიელებთან მატჩში). მათს გარდა, ამ ხაზზე თამაშობს ლადისლავ იურკემიკი („ინტერი", ბრატისლავა). ნახევარდაცვაში საკვანძო მოთამაშეა იაროსლავ პოლაკი (ვსს, კოშიცე). ფინალში მას არ უთამაშია, ვინაიდან წინა შეხვედრაში მინდვრიდან გააძევეს. შუა ხაზს შეადგენენ იოზეფ მიოდერი (ვსს, კოშიცე), მარიან მასნი („სლოვანი"), ანტონინ პანენკა („ბოჰემიანსი", პრაღა) და იან შვეჰლიკი („სლოვანი"). თავდასხმაში ჩვეულებრივ თამაშობენ ზდენეკ ნეჰოდა („დუკლა"), პეტერ გალისი (ვსს) და ფრანტიშეკ ვესელი („სლავია"). ვიქტორის დუბლიორია ალექსანდრ ვენცელი („სლოვანი").

სტატისტიკის მოყვარულებს ვთავაზობთ ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩების მონაწილე გუნდების შემადგენლობებს:

მატჩი I ადგილისთვის. ჩეხოსლოვაკია: ვიქტორი, პივარნიკი, ჩაპკოვიჩი, ონდრუში, გიოგი, დობიაში (ვესელი, 94), პანენკა, მიოდერი, მასნი, შვეჰლიკი (იურკემიკი, 80), ნეჰოდა; გფრ: მაიერი, ფოგტსი, დიცი, შვარცენბეკი, ბეკენბაუერი, ბონჰოფი, ვიმერი (ფლოე, 46), ბეერი (ბონჰარცი, 80), ჰიონესი, დ. მიულერი, ჰოლცენბაინი.

გოლები: შვეჰლიკი (8), დობიაში (25), დ. მიულერი (27), ჰოლცენბაინი (90). პენალტები გაიტანეს: მასნიმ, ნეჰოდამ, ონდრუშმა, იურკემიკმა, პანენკამ, ბონჰოფმა, ფლოემ, ბონჰარცმა. ჰიონესმა ვერ გაიტანა.

მსაჯი გონელა (იტალია).

მატჩი III ადგილისთვის. ჰოლანდია. შრიივერსი, სუურბიერი, კროლი, ვან კრააი, იანსენი (მეტსტეტე, 46), ვ. ვან დერ კერკჰოფი, არნცი (კისტი, 75), რ. ვან დერ კერკჰოფი, პეტერსი, გეელსი, რენსენბრინკი; იუგოსლავია: პეტროვიჩი, ბულიანი, მუჟინიჩი, ობლაკი, კატალინსკი, შურიაკი, ჟუნგული (ხალილხოჯიჩი, 46), ერკოვიჩი, პოპივოდა, აჩიმოვიჩი (ვლადიჩი, 46), ჯაიჩი.

გოლები: გეელსი (27 და 107), ვ. ვან დერ კერკჰოფი (39), კატალინსკი (43), ჯაიჩი (83).

მსაჯი ვ. ჰუნგერბიულერი (შვეიცარია).

ჩემპიონატები, გუნდები, ლიდერები

ჰოლანდია

ჩემპიონის ტიტული „ფსვ ეინდჰოვენმა" შეინარჩუნა. ეს სეზონი იოლი არ იყო ჩემპიონისთვის — მან მხოლოდ ბოლოსწინა, XXXIII ტურში მოიპოვა I ადგილი. უკვე რამდენიმე წელია, რაც „ფსვ ეინდჰოვენის" მეპატრონეები (კლუბი „ფილიპსის" ელექტროტექნიკურ კონცერნს ეკუთვნის) ცდილობენ იგი სუპერ-კლუბად აქციონ, მაგრამ ამაოდ. ჰოლანდიაშიც კი, კომენტატორთა აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონის ტიტული ზედიზედ ორჯერ მოიპოვა, „ფსვ ეინდჰოვენი" საუკეთესო გუნდად ყველას როდი მიაჩნია. შესაძლოა, ეინდჰოვენელებს ბევრი მეხოტბე არა ჰყავთ იმიტომ, რომ ყველას ნათლად ახსოვს დიდებული „აიაქსის" თამაში. ნიშანდობლივია, რომ ქვეყნის ახლანდელ ნაკრებში ჩემპიონის შემადგენლობიდან მხოლოდ სამი ფეხბურთელია შეყვანილი: 24 წლის ტყუპები ვილი და რენე ვან დერ კერკჰოფები და 22 წლის ადრი ვან კრააი. წლევანდელი ჩემპიონის ტიტული მეექვსეა (1929, 1935, 1951, 1963, 1975 და 1976 წლები). ბოლო წლებში გუნდი მაღალი კლასის სტაბილური თამაშით გამოირჩევა და ეს, კომენტატორთა აზრით, მწვრთნელ კეეს რივერსის დამსახურებაა. ჩემპიონი გუნდის სამი მეკარიდან გამოირჩევა იან ვან ბევერენი. დაცვაში თამაშობენ ადრი ვან კრააი, გერი დეიკერსი, ჰუუბ სტევენსი და კეეს კრიგი. ნახევარდაცვაში საუკეთესონი არიან ვილი ვან დერ კერკჰოფი და პლეუნ შტრიკი. თავდასხმაში გამოირჩევიან ტანმაღალი შვედი რალფ ედსტრიომი, ვილი ვან დერ კაილენი, ჰარი ლუბსე და რენე ვან დერ კერკჰოფი. სათადარიგოთა სკამზეც ბევრი კარგი ფეხბურთელია; ბერტუს კვაარსი, იან პორტვლიტი, პეტერ დალკვისტი, ნიკ დეისი, იან ვან დერ ვენი, იოს რეკერი.

მთელი სეზონის მანძილზე იბრძოდა საპატიო ტიტულისთვის როტერდამის „ფეიენოორდი" და მხოლოდ ფინალურ ეტაპზე წაიფორხილა. „ფეიენოორდში", რომელმაც II ადგილი დაიკავა, კვლავ ლიდერობენ მცველი ვიმ რიისბერგენი, ნახევარმცველები ნიკო იანსენი და იან ვან ჰანეგემი.

III ადგილზეა ამსტერდამის „აიაქსი", რომელმაც წლეულს საკმაოდ კარგად ითამაშა. გუნდის კარს იცავს 30 წლის იან შრიივერსი (იგი ნაკრების მეკარეა). დაცვაში გამოცდილ სუურბიერთან და კროლთან ერთად თავი გამოიჩინეს ახალგაზრდებმა დუსბაბამ და ვან დორდმა. წინა ხაზზე გამოირჩევა აგრესიული ფორვარდი რუდი გეელსი.

პროვინციული კლუბებიდან უკვე კარგა ხანია გამოირჩევა ენსხედეს „ტვენტე". გუნდიდან რამდენიმე საუკეთესო ფეხბურთელი „ფეიენოორდმა" და „ფსვ ეინდჰოვენმა" გადაიბირეს, მაგრამ „ტვენტე", რომლის მიღწევები მტკიცე სათამაშო დისციპლინაზე და მოქნილ ტაქტიკაზეა აგებული, მუდამ გათამაშების ცხრილის ზედა ნახევარშია. „ტვენტეს" საუკეთესო მოთამაშეები არიან მცველი იან ოვერვეგი და ნახევარმცველი იან ტისენი.

გთავაზობთ საბოლოო ცხრილს:

	თ.	ბ.	ქ.
„ფსვ ეინდჰოვენი"	34	89:27	53
„ფეიენოორდი"	34	88:40	52
„აიაქსი"	34	74:38	50
„ტვენტე"	34	64:32	46
„აზ 67 ალკმაარი"	34	46:39	39
„ჰააგა"	34	65:51	37
„ნიმეგენი"	34	43:38	37
„როდა" (კერკრადე)	34	40:36	37
„ტელსტარი" (ველზენი)	34	42:48	29
„სპარტა" (როტერდამი)	34	32:42	29
„დე გრააფსხაფი"	34	41:69	28
„ბრედა"	34	26:53	28
„გოუ ეჰედი" (დევენტერი)	34	43:58	27
„უტრეხტი"	34	36:57	27
„ფც ეინდჰოვენი"	34	40:63	27
„ამსტერდამი"	34	39:52	24
„მაასტრიხტი"	34	34:64	23
„ექსცელსიორი" (როტერდამი)	34	24:59	19

პორტუგალია

ბოლო, XXX ტურის შედეგს შარშანდელი ჩემპიონისთვის — ლისაბონის „ბენფიკისთვის" დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა — უმაღლესი ტიტული მაინც მის ხელთ იყო: პორტუს „ბოავისტა" გამარჯვების შემთხვევაშიც კი მას ველარ ეწეოდა.

„ბენფიკა" ქვეყნის ყველაზე პოპულარული და ყველაზე ძლიერი გუნდია, მაგრამ გასული წლებისგან განსხვავებით პორტუგალიის ჩემპიონი ვერაფრით დაიტრაბახებს საერთაშორისო სარბიელზე. „ბენფიკის" კარს იცავს ვეტერანი ჟოზე ენრიკე. დაცვაში უძლიერესნი არიან არტური, მესიაში და ბარუში. ნახევარდაცვაში შეუცვლელად თამაშობს ტონი, ხოლო ყველაზე ხშირად მას მხარში უდგანან მარტინში და ბაპტიშტა. ფორვარდების ხაზი ძლიერია — შეუ, ნენე, ჟორდაუ და მოინიოში.

II ადგილი დაიკავა „ბოავისტამ", რომელშიც გამოირჩევიან ახალგაზრდა ნახევარმცველები ალვიში და ოქტავიუ. ორივე შეყვანილია ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში.

სეზონის სტარტზე ლისაბონის „სპორტინგის" ხელმძღვანელობა აცხადებდა, რომ „სპორტინგი" აუცილებლად დაიბრუნებს უძლიერესის სახელს, მაგრამ გუნდი, რომლის შემადგენლობაში ბევრი საუკეთესო ფეხბურთელია, V ადგილზე დარჩა. ლისაბონელთა კარს იცავს ქვეყნის საუკეთესო მეკარე დამაში, დაცვის ბურჯია მენდეში. ნახევარდაცვაში გამოირჩევიან ნელსონი და ფრაგიტო. თავდასხმაში უძლიერესნი არიან შიკუ და მარინიუ.

საბოლოო ცხრილი:

„ბენფიკა"	30	94:20	50
„ბოავისტა"	30	65:23	48
„ბელენენსეში" (ლისაბონი)	30	45:28	40
„პორტუ"	30	56:30	39
„სპორტინგი" (ლისაბონი)	30	54:31	38
„ვიტორია" (გიმარაიში)	30	49:32	36
„ესტორილი" (პრაია)	30	31:45	28
„სპორტინგი" (ბრაგა)	30	35:43	28
„ვიტორია" (სეტუბალი)	30	39:42	26
„აკადემიკა" (კოიმბრა)	30	31:47	23
„ატლეტიკუ" (ლისაბონი)	30	26:49	23
„ლეიქშოიში" (პორტუ)	30	30:65	22
„უნიაუ დე ტომარი"	30	32:61	21
„ბეირა მარი"	30	28:47	21
„ფარენსე" (ფარუ)	30	33:65	19
კუფ (ბარეირუ)	30	15:58	18

ვერ მოითმინა

მილანის „ინტერნაციონალეს" ყოფილი მწვრთნელი ელენიო ერერა ესწრებოდა ამ გუნდის შეხვედრას ტურინის „იუვენტუსთან". ერერა ისე აღაშფოთა თავისი ყოფილი გუნდის უხეირო თამაშმა, რომ მინდორზე გაიჭრა და მილანელებს ლანძღვა-გინება დაუწყო.

პოლიციას მოუხდა ტემპერამენტიანი ვეტერანის დაპატიმრება და სტადიონიდან გაყვანა.

მწვრთნელები იცვლებიან

იტალიის ჩემპიონატის დამთავრებისთანავე კლუბებში დაიწყეს მწვრთნელთა გადაყვანა-გადმოყვანა. „ინტერის" სათავეში ჩაიპელა შეცვალა პესაოლამ, „იუვენტუსს" პაროლას ნაცვლად სათავეში ჩაუდგება ცნობილი შვედი-სპეციალისტი ლიედჰოლმი. მარკიორო, რომელიც აქამდე „ჩეზანაში" მუშაობდა, დანიშნულია „მილანის" მწვრთნელად ტრაპატონის ნაცვლად. ლიედჰოლმს „რომას" მწვრთნელის პოსტზე შეცვლის ბრაზილიელი დე მენეზესი, რომელიც აქამდე „ნაპოლის" ედგა სათავეში.

55 წუთის შემდეგ

სწორედ ამდენ ხანს გაგრძელდა მატჩი ურუგვაის პირველობაზე „პენიაროლსა" და „ლივერპულს" შორის. მსაჯმა ზედიზედ ხუთ მოთამაშეს დაატოვებინა მინდორი „ლივერპულიდან" მას შემდეგ, რაც მათ პროტესტი განაცხადეს მეტოქის მიერ გატანილი ორი გოლის თაობაზე. „ლივერპულმა" მიიჩნია, რომ ეს გოლები წესების დარღვევით იყო გატანილი, ვინაიდან მინდორზე ერთი გუნდიდან დარჩა ექვსი მოთამაშე, მსაჯმა თამაში შეწყვიტა.

გულუხვობა შოტლანდიურად

შოტლანდიის საფეხბურთო კლუბი „დამბერტონი" ეროვნული თასის გათამაშების ფინალში გავიდა. გახარებულმა კლუბის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ თანახმაა შეღავათიან ფასებში მიჰყიდოს ბილეთები იმ მაყურებლებს, რომლებიც ესწრებოდნენ წინა ფინალურ მატჩს „დამბერტონის" მონაწილეობით, ამასთან, მათ იმ მატჩის ბილეთებიც უნდა წარედგინათ.

შეღავათიანი ბილეთების შეძენის მსურველები არ აღმოჩნდნენ. დიახ, ასეთი თხოვნით კლუბის ხელმძღვანელებისთვის ერთ კაცსაც კი არ მიუმართავს. და ეს სავსებით გასაგებიცაა, ვინაიდან „დამბერტონმა" ფინალში უკანასკნელად ითამაშა... 1897 წელს.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ბულგარეთი

სოფიის ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამემ" მეცხრამეტედ მოიხვეჭა ჩემპიონის ტიტული. მის შემადგენლობაში არიან ცნობილი მცველები ჟაფიროვი, რანგელოვი და ვასილევი; ნახევარდაცვის ძირითადი მოთამაშეები პეხევი და პრიტერგოვი. ჩემპიონმა ყველაზე მეტი (61) გოლი გაიტანა. გუნდის საუკეთესო სნაიპერია შემტევი ნახევარმცველი პრიტერგოვი (10 ბურთი). თავდასხმის ხაზზე ჩემპიონს ტოლფასოვანი ფეხბურთელები ჰყავს: დენევი, გორანოვი, კოლევი, დიმიტროვი და იონჩევი.

ქვეყნის თასი და II ადგილი მოიპოვა სოფიის „ლევსკი-სპარტაკმა".

საუკეთესო სნაიპერია „ბეროეს" კაპიტანი, 30 წლის პეტკო პეტკოვი, რომელმაც 19 ბურთი გაიტანა. 14 ბურთი გაიტანა პანოვმა („ლევსკი-სპარტაკი"), ხოლო 13 — ხრისტოვმა („დუნავი").

გთავაზობთ ჩემპიონატის საბოლოო ცხრილს:

ცსკა-„სეპტ. ზნამე"	30	61:30	43
„ლევსკი-სპარტაკი"	30	58:33	41
„აკადემიკი" (სოფია)	30	35:25	37
„ლოკომოტივი" (პლოვდივი)	30	43:33	33
„სლავია" (სოფია)	30	43:41	32
„თრაკია" (პლოვდივი)	30	24:26	32
„სლივენი"	30	29:30	31
„ლოკომოტივი" (სოფია)	30	35:33	29
„დუნავი" (რუსე)	30	32:38	29
„ბეროე" (სტარა ზაგორა)	30	35:39	28
„ჩკ-სპარტაკი" (ვარნა)	30	32:33	27
„პირინი" (ბლაგოევგრადი)	30	24:28	27
„ბოტევი" (ვრაცა)	30	30:36	27
„მინიორი" (პერნიკი)	30	30:45	26
„ჩერნო მორე" (ვარნა)	30	34:44	24
„სპარტაკი" (პლევენი)	30	32:63	14

სპორტული ინფორმაცია

ქალებმა იყოჩაღეს

ევროპის ჩემპიონატი მშვილდოსნობაში

კოპენჰაგენი, 21 ივნისი. ტაშკენტის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა, 21 წლის ოლგა რულენკომ ევროპის მშვილდოსანთა აქ დამთავრებულ V ჩემპიონატში აბსოლუტური ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა. მისი შედეგია 1219 ქულა.

II ადგილზე გავიდა ლვოველი ექიმი-სტომატოლოგი, 26 წლის ვალენტინა კოვპანი — 1196 ქულა. ბრინჯაოს მედალი მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს, დუშანბელ სტუდენტს 21 წლის ზებინისო რუსტამოვას ხვდა — 1179 ქულა.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრებმა, რომელმაც 3594 ქულა დააგროვა. II ადგილზე გასული გფრ-ის კოლექტივი გამარჯვებულს 170-ზე მეტი ქულით ჩამორჩა. III ადგილზეა შვეციის გუნდი — 3372.

ვაჟთა შორის ჩემპიონი გახდა 41 წლის სტოკჰოლმელი როლფ სვენსონი — 1214 ქულა. გამარჯვებულს სულ 1 ქულით ჩამორჩნენ იტალიელი სანტე სპიგარელი და ფინელი კიუოსტი ლაასონენი, რომლებმაც შესაბამისად II და III ადგილები დაიკავეს.

მოწინავე 8 მშვილდოსანს შორისაა საბჭოთა გუნდის ორი დებიუტანტი: მოსკოველი ვლადიმერ ჩენდაროვი (IV ადგილი, 1194 ქულა) და ჩიტელი მელს დაბაევი (VII ადგილი, 1187 ქულა).

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ფინეთი — 3566, შვეცია — 3546, იტალია — 3536. IV ადგილზეა სსრ კავშირის ნაკრები — 3530.

ურუგვაელები არ ითამაშებენ

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ განიხილა ურუგვაელთა ოფიციალური განცხადება მონრეალის ოლიმპიური ტურნირის ფინალისტთა შემადგენლობიდან გამოსვლის შესახებ. ფიფა-მ წინა კვირაში ციურიხში გამართულ სხდომაზე დაამტკიცა ურუგვაის ნაკრების გარიცხვა ფინალისტთა შემადგენლობიდან. ამავე დროს, ფიფა-მ არგენტინის ფეხბურთის ფედერაციას შესთავაზა შეცვალოს ურუგვაელები III ჯგუფში, სადაც გამოდიან ნიგერიის, ირანისა და პოლონეთის გუნდები.

არგენტინელები სამხრეთ ამერიკის ოლიმპიურ ტურნირში III ადგილზე გავიდნენ ურუგვაელთა შემდეგ. მაგრამ არგენტინამ უარი თქვა წინადადების მიღებაზე და ახლა, ფიფა-ს ცნობით, ურუგვაელთა ადგილი შეიძლება კოლუმბიის ფეხბურთელებმა დაიკავონ.

ფიფა-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ურუგვაელთა გადაწყვეტილების მიზეზია წინააღმდეგობა, რომელიც ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასა და ოლიმპიურ კომიტეტს შორის არსებობს ნაკრების დაკომპლექტების საკითხში. ურუგვაის ოლიმპიურმა კომიტეტმა უარი თქვა დაემტკიცებინა მოყვარულის სტატუსი ნაკრების მოთამაშეთა ჯგუფისთვის, მათს გარეშე კი, ფედერაციის აზრით, ურუგვაის გუნდს მონრეალში წარმატების არავითარი შანსი არ ექნება.

ოლიმპიური თამაშების გახსნამდე დარჩა 24 დღე

2. ცალქალამანიძე, კარტოზია და სხვები

XVI ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის სურვილი გამოთქვა ათმა სახელმწიფომ (ამერიკის კონტინენტის ცხრა ქვეყანამ და ავსტრალიამ). საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თამაშების გამართვა ავსტრალიას დაავალა. სსრ კავშირის სპორტულმა დელეგაციამ ამ თამაშებშიც ისახელა თავი: საბჭოთა სპორტსმენებმა მოიხვეჭეს 37 ოქროს, 29 ვერცხლის, 32 ბრინჯაოს მედალი და 624,5 ქულით გაიმარჯვეს არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში.

მელბურნის ოლიმპიადაში ჩვენი რესპუბლიკიდან გამოდიოდა 10 კაცი, რომელთაგან ნახევარს მოჭიდავეები შეადგენდნენ. საქართველოს წარმომადგენლებმა მოიპოვეს 2 ოქროს და 6 ბრინჯაოს მედალი. ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები გახდნენ მ. ცალქალამანიძე და გ. კარტოზია.

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრებში იყვნენ მ. ცალქალამანიძე (მჩატე წონა), ვ. ბალავაძე (მეორე ქვესაშუალო) და გ. სხირტლაძე (საშუალო).

ცალქალამანიძის პირველი მეტოქე იყო ამერიკელი რ. დელგადო. გაიმარჯვა საბჭოთა სპორტსმენმა. მირიანმა მეორე წრეში სძლია იაპონელ ტ. ასაის, ხოლო შემდეგ 8 წუთსა და 45 წამში მოუგო ინდოელ ბ. დავარს. სამი მოგება ჰქონდა თურქ ჰ. აკბასსაც, აქედან ორი — წმინდა. ჩემპიონობისთვის იბრძოდა ირანელი მ. ხოჯასტეპურიც. სწორედ ამ სამ სპორტსმენს შორის გაჩაღდა ოქროსთვის ბრძოლა. ცალქალამანიძისა და აკბასის შერკინებაში თურქმა შეძლო მირიანის ჩოქბჯენში გადაყვანა და სხვა ილეთის გაკეთება არ უცდია. იგი აშკარად გაურბოდა აქტიურ ბრძოლას. ამ ერთადერთი ილეთის წყალობით აკბასი გამარჯვებულად გამოაცხადეს. მაგრამ თურქის სიხარული ხანმოკლე გამოდგა: მომდევნო წრეში იგი დამარცხდა ხოჯასტეპურთან. ახლა ცალქალამანიძისა და ხოჯასტეპურის შერკინებას უნდა დაესახელებინა ოქროს ჯილდოს მფლობელი. ბრწყინვალედ იჭიდავა ქართველმა სპორტსმენმა. მე-4 წუთზე მან ქართული ჭიდაობის ილეთით — შუაკაურით მძლავრად აისროლა ხოჯასტეპური, ხალიჩას დაანარცხა და ჩემპიონიც გახდა.

ვ. ბალავაძე ადვილად გაუმკლავდა ფინელ ტ. რანტანენს, შემდეგ კი სამ წუთში წმინდად მოუგო გერმანელ ა. ტიშენდორფს. იაპონელ მ. იკედასთან შეხვედრაში ქართველი სპორტსმენი 2 ქულით დაწინაურდა, რასაც იკედას სამი თითოქულიანი ილეთი მოჰყვა. ამის შემდეგ იაპონელი აშკარად პასიურობდა და დროის გაყვანასაც არ თაკილობდა, მსაჯები კი ამას ყურადღებას არ აქცევდნენ. ბალავაძე დამარცხდა. შვედ პ. ბერლინთან ორთაბრძოლაში ბალავაძემ არა მარტო მეტოქე გააოგნა უჩვეულო ფანდით, არამედ თავისუფალი ჭიდაობის სპეციალისტებიც გააოცა. ქართველმა მოჭიდავემ ერთ მომენტში ფეხი ჩაახვია მეტოქის ფეხს და მერე რა მოხდა, ეს ბალავაძის მეტოქემაც ვერ გაიგო. შვედი ხალიჩაზე ბეჭებით გაკრული აღმოჩნდა. II ადგილზე გასასვლელად ბალავაძეს აუცილებლად უნდა მოეგო თურქ ი. ზენგინისთვის, მაგრამ ამ უკანასკნელმა უკეთ იჭიდავა და გაიმარჯვა. ჩვენი თანამემამულე ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

საშუალო წონაში გამოდიოდა გ. სხირტლაძე. მან პირველივე შეხვედრა წააგო ბულგარელ ნ. ნიკოლოვთან. თავდაპირველად ბულგარელმა სხირტლაძე ხიდურზე გადაიყვანა და შემდეგ სულ იმის ფიქრში იყო, ილეთის ჩატარების საშუალება არ მიეცა ქართველი ფალავნისთვის. ბულგარელი ხალიჩიდან გაქცევასაც არ თაკილობდა. მსაჯმა ორი გაფრთხილება მისცა ნიკოლოვს, მაგრამ იგი თავისას არ იშლიდა. ხალიჩის არბიტრმა მას მესამე გაფრთხილება მისცა და გამარჯვების ნიშნად ზეაღმართა სხირტლაძის ხელი. მერე კი მსაჯთა კოლეგიამ თავისი პირვანდელი გადაწყვეტილება... შეცვალა და ჭიდაობა გააგრძელა: ნიკოლოვს არც ამის შემდეგ უღალატია თავისი „ხერხისთვის“. გამარჯვებულად ის გამოაცხადეს. მომდევნო წრეებში სხირტლაძემ სძლია ფილიპინელ ნ. არკაგეს, აფრიკელ ვან ზიიას, გერმანელ ი. შტერს, მაგრამ ამერიკელ დ. ჰოჯთან დამარცხდა და ბრინჯაოს მედლით დაკმაყოფილდა.

გ. კარტოზია.

პირველივე შეხვედრა წააგო კლასიკური სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრებაში გ. კარტოზიამაც. შვედ ჯ. იანსონთან შერკინებაში მსაჯებმა უცნაური გადაწყვეტილება გამოიტანეს და გამარჯვება უმართებულოდ მიაკუთვნეს შვედს. ამან ათასობით მაყურებლის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ მსაჯებმა გადაწყვეტილება აღარ შეცვალეს. შემდეგ წრეში გივიმ ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა ავსტრალიელ რ. პეტერსონს, ქულას ქულაზე აგროვებდა და შემდეგ ბეჭებით გააკრა მეტოქე ხალიჩაზე. ამ ორთაბრძოლის შემდეგ ავსტრალიელმა ჭიდაობის მოყვარულებმა კარტოზია „მძვინვარე ვეფხვად“ მონათლეს. უნგრელი დ. გურიჩიც ვერ გაუმკლავდა გივის. ქართველი სპორტსმენი დიდი მონდომებით იბრძოდა და იოლად სძლია მეტოქეს. გადამწყვეტ შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ კარტოზია და ბულგარელი დ. დობრევი. გივიმ გამარჯვებისკენ მიმავალი ყველა გზა გადაუკეტა მეტოქეს, აშკარად დაჯაბნა იგი და ჩემპიონი გახდა.

უჩვეულო სიტუაცია შეიქმნა მსუბუქი წონის მოჭიდავეთა გადამწყვეტ შეჯიბრებაში. ბოლო წრეში ოქროს მედალზე პრეტენზიას აცხადებდა სამი სპორტსმენი — ფინელი ა. მიაკინენი, უნგრელი ი. პოიაკი და თბილისელი რ. ძნელაძე. მიაკინენს უკვე დამთავრებული ჰქონდა გამოსვლა. მან წააგო ძნელაძესთან და მოუგო პოიაკს. დარჩენილი იყო ერთადერთი ბრძოლა — ძნელაძისა და პოიაკისა. ქართველი სპორტსმენი ჩემპიონი გახდებოდა თუ ამ შეხვედრას მოიგებდა, მაგრამ, თუ წააგებდა, ფინელი მოჭიდავე იქნებოდა პირველი, ძნელაძე კი III ადგილზე გავიდოდა. პოიაკთან წმინდად წაგების შემთხვევაში ძნელაძე ვერცხლის პრიზიორი იქნებოდა, ჩემპიონი კი მისი მეტოქე გახდებოდა, მაგრამ რომანი ვაჟკაცურად ეჭიდავა პოიაკს და ქულებით დათმო შეხვედრა: ლაჩრულად წაგებას და ვერცხლის მედალს ვაჟკაცურად მოხვეჭილი ბრინჯაოს ჯილდო ამჯობინა.

მ. ცალქალამანიძე

ბრინჯაოს მედალი მოიპოვა მძლეოსანმა ნ. დვალიშვილმა. ნადედამ სიგრძეზე მხტომელთა შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა და მისი შედეგი — 607 სმ — მესამე გამოდგა. გაიმარჯვა პოლონელმა ე. კშესინსკა-დუნსკამ — 635. ვერცხლის მედალი ერგო ამერიკელ უ. უაიტს — 609.

საბჭოთა მოცურავეთა გუნდში ჩვენი რესპუბლიკიდან ბ. ნიკიტინი გამოდიოდა. თავისუფალი სტილით 400 მეტრზე ცურვაში მან V ადგილი დაიკავა წინასწარ შეჯიბრებაში (4.42,8). სამაგიეროდ, თავისუფალი სტილით 4×200 მეტრზე ესტაფეტაში საბჭოთა გუნდი, რომლის შემადგენლობაში ვ. სოროკინთან, ვ. სტრუჟანოვთან და გ. ნიკოლაევთან ერთად ნიკიტინიც გამოდიოდა, ფინიშთან მესამე იყო — 8.34,7 (ჩემპიონი გახდა ავსტრალიელთა კვარტეტი — 8.23,6).

ბრინჯაოს მედალი ხვდა წილად წყალბურთელ ნ. გვახარიას. სსრ კავშირის გუნდმა პირველი მატჩი წააგო იუგოსლავიელებთან (2:3), მოუგო რუმინეთისა (4:3) და ავსტრალიის (3:0) წარმომადგენლებს. საბჭოთა წყალბურთელებმა ძლიერად ითამაშეს ფინალურ ჯგუფში. მათ სძლიეს იტალიის (3:2), აშშ-ს (3:1), გფრ-ის (6:4) კოლექტივებს და დამარცხდნენ უნგრეთის ნაკრებთან — 0:4.

მოფარიკავეთა ასპარეზობაში ორი თბილისელი რ. ცირეკიძე (დაშნა) და ი. ოსიპოვი (რაპირა) გამოდიოდნენ. ცირეკიძემ ვერ შეძლო გამკლავებოდა მსოფლიოს უძლიერეს მუშკეტერებს და მერვედფინალიდან გამოეთიშა შეჯიბრებას. საბჭოთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაშიც რევაზი იყო, ნახევარფინალამდე მიაღწია. საბჭოთა მოფარიკავეებმა მოუგეს შვეციისა (9:7) და კოლუმბიის (15:1) გუნდებს, დამარცხდნენ დიდი ბრიტანეთისა (6:10) და საფრანგეთის (7:9) წარმომადგენლებთან. ოსიპოვმა ნახევარფინალამდე მიაღწია. გუნდმა, რომელშიც ოსიპოვიც გამოდიოდა, წააგო ბელგიელებთან (7:9), მოუგო საფრანგეთის კოლექტივს (9:7), ნახევარფინალში კი ორჯერ დამარცხდა — უნგრეთისა (5:11) და საფრანგეთის (4:9) მოფარიკავეებთან.

მელბურნის თამაშებში საქართველოს წარგზავნილები ჩინებულად გამოვიდნენ, რასაც ადასტურებს მათ მიერ მოპოვებული 2 ოქროს და 6 ბრინჯაოს მედალი.

ზ. ჯაფარიძე.

მსოფლიო რეკორდსმენი მონრეალში არ გამოვა

ნიუ იორკი, 21 ივნისი. (საკდესი). 19 ივნისს იუჯინში დაიწყო ამერიკელ მძლეოსანთა წინაოლიმპიური შესარჩევი შეჯიბრება, რომელმაც ბევრი მოულოდნელი შედეგი მოგვცა. რამდენიმე ფავორიტმა, რომელთა შორის იყვნენ მსოფლიო რეკორდსმენი ბირთვის კვრაში ტერენს ოლბრიტონი, უმაღლესი მსოფლიო მიღწევის მფლობელი ჭოკით ხტომაში (დარბაზებისთვის) დან რიპლი, მონრეალის საგზურები დაკარგა. ოლბრიტონი ფინალურ შეჯიბრებაში პრიზიორთა შორის ვერ მოხვდა, IV ადგილი დაიკავა — 20,42. ამ სახეობაში პირველი იყო მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი ალ ფოიერბახი—21,12 მ. მის გარდა გუნდში ჩაირიცხნენ ორი ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ჯორჯ ვუდსი (21,10) და პიტერ შმოკი (20,96).

რიპლიმ თავი ვერ გაართვა საკვალიფიკაციო ნორმატივს (520 სმ) და შემდგომ ბრძოლას გამოეთიშა.

კიდევ უფრო მოულოდნელი იყო ერთ-ერთი ყველაზე უდავო ოლიმპიური ფავორიტის, 100 და 200 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდსმენი სტივ უილიამსის მარცხი 100-მეტრიან დისტანციაზე. წლევანდელ სეზონში ზანგმა სპრინტერმა ორჯერ გაიმეორა მსოფლიო მიღწევა — 9,9. წინასწარ გარბენში ფინიშამდე რამდენიმე მეტრი რომ დარჩა, სპორტსმენი კუნთების სპაზმის გამო იძულებული გახდა თითქმის გაჩერებულიყო, მაგრამ მაინც მეექვსე აღმოჩნდა, რამაც მეოთხედფინალში მონაწილეობის უფლება მოუტანა. შემდეგ წრეზე სტივმა მხოლოდ 20 მეტრი გაირბინა და დისტანცია დატოვა. ამით მან დაკარგა 100 მეტრზე რბენასა და ესტაფეტაში ოლიმპიურ ნაკრებში ასპარეზობის უფლება. 200 მეტრზე რბენაში უილიამსის მონაწილეობის საკითხი ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი.

100 მეტრზე რბენაში მონრეალში ამერიკის შეერთებული შტატების ღირსებას დაიცავენ წლევანდელი სეზონის „აღმოჩენანი“: 18 წლის სპორტსმენები — ჰარვი გლანსი (10,11) და ჰიუსტონ მაკ-ტირი (10,16), აგრეთვე, გამოცდილი ათლეტი, 24 წლის სტივ რიდიკი (10,18).

იმ სპორტსმენთაგან, რომელთაც მონრეალის საგზურები უკვე მოპოვებული აქვთ, უნდა დავასახელოთ შუბის მტყორცნელი კეტი შმიდტი, მიუნხენის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი. წლევანდელ სეზონში კეტი სტაბილურად მაღალ დონეზე გამოდის. ამჯერად მისი შედეგი იყო 65,04 მ.

ჩეხოსლოვაკიის ოლიმპიური იმედები

მონრეალის ოლიმპიურ თამაშებში ჩეხოსლოვაკიის ღირსებას დაიცავს 160 სპორტსმენი — ველოსპორტში, სპორტულ ტანვარჯიშში, ძალოსნობაში, ჭიდაობაში, კრივში, სროლაში, ფარიკაობაში, ცურვაში, წყალში ხტომაში, ნიჩბოსნობაში, მძლეოსნობაში, ხელბურთში, ფრენბურთსა და კალათბურთში (ქალები). კალათბურთელმა ვაჟებმა ჯერ შესარჩევ ოლიმპიურ შეჯიბრებაში უნდა ჩააბარონ გამოცდა კანადის ქალაქ ჰამილტონში.

ჩეხოსლოვაკიის სპორტის მესვეურები თავიანთ იმედებს უკავშირებენ 1968 წლის ოლიმპიადის ჩემპიონს წყალში ხტომაში, 1972 წლის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორს მილენა დუხკოვას.

თავისი ტიტულის დაცვა აქვს განზრახული ოლიმპიურ ჩემპიონს, მსოფლიო ჩემპიონს კლასიკურ ჭიდაობაში ვიტეზსლავ მახას. ოთხი წლის წინათ მოპოვებული „ვერცხლის პოზიციების“ დათმობას არ აპირებენ აკადემიური ნიჩბოსნობის ცნობილი ოსტატები, ძმები სვოიანოვსკები — ოლდრიჯი და პავლე.

სპეციალისტთა აზრით, ოლიმპიური მედლების მოპოვება შეუძლიათ მრავალგზის მსოფლიო რეკორდსმენს, 1972 წლის ოლიმპიადის ჩემპიონს, ბადროს მტყორცნელ ლიუდვიკ დანეკს, ევროპის 1973-74 წლების ჩემპიონს ბირთვის კვრაში (დარბაზებში) ჰელენა ფიბინგეროვას, ევროპის 1974 წლის პირველობის ვერცხლის პრიზიორს სიმაღლეზე ხტომაში მილადა კარბანოვას, ფრენბურთელთა, ხელბურთელთა და კალათბურთელთა გუნდებს.

წინა ოლიმპიურ თამაშებში ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებმა ორი ოქროს, ოთხი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. მონრეალში ისინი ეცდებიან კიდევ მეტი წარმატება მოიპოვონ. (საკდესი).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ცხოვრება

ფრენბურთი. ფრენბურთის მოედნები (პლეხანოვის პრ. № 117). **25-29 ივნისი. სტუდენტთა საკავშირო თამაშები. თბილისის ზონა. ქალთა და ვაჟთა გუნდები.** დასაწყისი 11 ს (წვიმიანი ამინდის შემთხვევაში შეხვედრები ჩატარდება სპი-სა და ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზებში).

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს № 2 სპორტული სკოლა-ინტერნატი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1976-77 სასწავლო წლისთვის IV-X კლასებში სპორტული ტანვარჯიშის, ცურვისა და ფარიკაობის განყოფილებებზე.

სპორტული ტანვარჯიშის განხრით მიიღებიან მოსწავლეები:

IV კლასი: გოგონები მოზარდთა I თანრიგით, ბიჭები მოზარდთა II თანრიგით;

V — გოგონები უფროსთა III თანრიგით, ბიჭები მოზარდთა I თანრიგით;

VI — გოგონები უფროსთა II თანრიგით, ბიჭები უფროსთა III თანრიგით;

VII — გოგონები უფროსთა I თანრიგით, ბიჭები უფროსთა II თანრიგით;

VIII — გოგონები — ოსტატობის კანდიდატები, ბიჭები უფროსთა II თანრიგით;

IX — გოგონები — ოსტატობის კანდიდატები, ბიჭები უფროსთა I თანრიგით;

X — გოგონები — სპორტის ოსტატები; ბიჭები უფროსთა I თანრიგით.

ცურვის განხრით:

IV კლასი — გოგონები და ბიჭები მოზარდთა I თანრიგით;

V — გოგონები და ბიჭები უფროსთა III თანრიგით;

VI — გოგონები უფროსთა II თანრიგით, ბიჭები უფროსთა III თანრიგით;

VII — გოგონები და ბიჭები უფროსთა II თანრიგით;

VIII — გოგონები უფროსთა I თანრიგით, ბიჭები უფროსთა II თანრიგით;

IX — გოგონები — ოსტატობის კანდიდატები, ბიჭები უფროსთა I თანრიგით;

X — გოგონები და ბიჭები — ოსტატობის კანდიდატები.

ფარიკაობის განხრით (გოგონები და ბიჭები):

VI და VII კლასები — მოზარდთა თანრიგით;

VIII — უფროსთა III თანრიგით;

IX — უფროსთა II თანრიგით;

X — უფროსთა I თანრიგით.

განცხადებები მიიღება 20 აგვისტომდე. მოსწავლეთა შემოწმება სამედიცინო და ფიზიკურ მომზადებაში — 23-30 აგვისტოს.

სკოლა-ინტერნატში ჩაირიცხებიან მოსწავლეები, რომლებიც წარმატებით გაივლიან კონკურსს. სწავლება ქართულ ენაზეა, საშუალო სკოლის პროგრამით. მოსწავლეები სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე იქნებიან.

სკოლა-ინტერნატის მისამართი: თბილისი, გლდანი, თიანეთის გზატკეცილი. ტელეფონები: 62-41-34, 62-53-95. ავტობუსი № 24 მეტროს სადგურ „ელექტროდეპოდან“.

სკოლა-ინტერნატის დირექცია.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 08913